572/1952/2

ლილა

„ალვადი, ტურფა ჭიანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეს
და ჩენც, ქართველნ, სწავლულ
სამშობლოს გაახარეთ!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 4 აპრილი 1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახლი ულიანოვსკში. სადაც დაიბადა ვ. ი. ლენინი

გრიგოლ აბაშიძე

ნახატი **ვ. ჯაფარიძისა**

ორი სახლი

ქვეყნად რაძდენი სახლია
ძალალი, კოხტა ბანებით,
ძაგრამ უთვალავ სახლთაგან
ჩვენ ორ სახლს ვეთაკვანებით.

გული სულ ძათკვენ ძიგვიწვეს,
ცხელა თუ "ამთრის თოშია,
ერთი დგას ულიანოვსკში,
მეორე— აგერ, გორშია.

და ძუდამ, როცა გორში ვართ,
ოცნება ცად აფრენილი
ულიანოვსკში ძიგვაფრენს,—
იქ დაიბადა ლენინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი ბავშვობისას

ბარბარეს სახ. ხელ. საბავშვო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ა. კონონოვი

ნახატები შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაშინოში გამგზავრება

სოფელ კაშინოს მცხოვრებლებმა 1920 წელს ელექტროსადგური აიშენეს.

მაშინ ეს მეტად ძნელი საქმე იყო: არ იშოვებოდა ყველაზე უფრო საჭირო მასალა; ლურსმანიც კი იშვიათად მოიძებნებოდა სოფელში.

და, აი, სწორედ ასეთ დროს, კაშინოელმა გლეხებმა საკუთარი ძალებითა და საკუთარი სურვილით თვითონ დაიწყეს ელსადგურის შენება. დიდის გაჭირვებით იშოვეს ტელეფონის მავთულის რამდენიმე დიდი შულო. მავთული ნაგრეხი და მეტად სქელი იყო. იგი მიწაზე გაშალეს და გაზებით, მარწუხებით და თვით შიშველი ხელებითაც კი დაიწყეს დაშლა. ამგვარად ბევრი მავთული მიიღეს.

ტყიდან მორები მოზიდეს, ბოძებად დახერხეს და სუფთად გარანდეს.

ახლა საჭირო იყო ელექტრომანქანის — დინამოს შოვნა.

თუ კი იმ დროს ლურსმნის ყიდვაც კი არ იყო იოლი საქმე, წარმოსადგენია, რა შრომა დასჭირდებოდათ კაშინოელებს დინამომანქანის შესაძენად.

კაშინოელი გლეხები მოსკოვში წავიდნენ და სადაც მივიდოდნენ, საუბარს იმით იწყებდნენ, რომ ლენინს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა აქვს და ისინიც, მაშასადამე, ამ გეგმის მიხედვით მოქმედებენ.

როგორც იქნა, კაშინოელებმა თავისას მიაღწიეს და მიიღეს დინამომანქანა.

ჩამოიტანეს იგი კაშინოში და დიდ ფარდულში მოათავსეს.

მთელი ქუჩის გასწვრივ ბოძები აღმართეს, მავთულები გაჭიმეს და ყოველ ქოხში ელექტრონათურა დაჰკიდეს.

როცა ყველაფერი მზად იყო, წერილი გაუგზავნეს ლენინს და ელექტროსადგურის გახსნაზე მიიწვიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5413

წერილი კი გაგზავნეს, მაგრამ არა სჯეროდათ, რომ ლენინი ჩამოვიდოდა: სად ექნება ლენინს ჩვენთან ჩამოსვლის დროო... მზადებას მაინც შეუდგნენ. ყველაზე დიდ ქოხში დადგეს გრძელი მაგიდა და სკამები, ხოლო რაც ზედმეტი იყო — სკივრები, საწოლები გარეთ გაიტანეს.

მოემზადნენ სამასპინძლოდ; რაც კი შეეძლოთ მოხარშეს და გამოაცხვეს.

დადგა ელექტროსადგურის გახსნის დღე — 14 ნოემბერი.

გლეხებმა აღარ იცოდნენ დაეცადათ თუ არა ლენინისათვის.

უეცრად გზაზე მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა.

ბავშვები პირველნი გაიქცნენ შესახვედრად.

მანქანა გაჩერდა. მანქანაში ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ისხდნენ.

ვლადიმერ ილიას ძემ ბავშვებს ჰკითხა:

— სად არის აქ ელსადგური?

ბავშვებს გაეხარდათ:

— ჩაგვსხი და მაშინ გიჩვენებთ.

ლენინმა ბავშვები მანქანაში ჩაისვა და გზა განაგრძო.

II.

ლენინს დიდ ქოხთან შეხვდნენ გლეხები.

ქოხში საუბარი გაჩაღდა. ლენინმა თეთრგვარდიელებზე წითელი არმიის გამარჯვების შესახებ მოუთხრო გლეხებს და მიულოცა მათ ეს გამარჯვება.

გლეხებმაც უამბეს მას თავიანთი საქმეების შესახებ.

ლენინი ყურადღებით ისმენდა. როცა მოამბე შეჩერდებოდა, ლენინი გამამხნევებლად შეესიტყვებოდა:

— ჰო, მერე, მერე?

ლენინს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა: მან სწრაფად დაიმახსოვრა, ვის რა ერქვა და შემდეგ მოხუც გლეხებს სახელითა და მამის სახელით მიმართავდა: ალექსი ანდრიას ძევ, ვასილისა პავლეს

ასულო. მოხუცებს ეს ძლიერ მოეწონათ.

საუბარი ლენინისთვისაც და გლეხებისთვისაც იმდენად საინტერესო იყო, რომ დაღამება არავის შეუმჩნევია. სწუხდა მხოლოდ ერთი კაცი — ფოტოგრაფი. იგი ჩამოვიდა, რომ ლენინი გლეხებთან ერთად გადაეღო. ახლა კი შეწუხებული ფიქრობდა: მალე დაღამდება და სინათლის ნაკლებობის გამო სურათი აღარ გამოვაო! ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა:

— ვლადიმერ ილიას ძევ, გლეხებს თქვენთან ერთად გადაღება სურდათ!

— ჰო?.. კარგი, — უპასუხა ლენინმა და საუბარი განაგრძო. გავიდა კიდევ ათი წუთი, უკვე ბინდდებოდა.

— რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გვიან იქნება! — სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა ფოტოგრაფმა.

ვლადიმერ ილიას ძემ ფოტოგრაფს თვალი შეავლო. სურათის გადაღება არ უნდოდა, მაგრამ ლენინი სხვის შრომას აფასებდა, მით უფრო, რომ ფოტოგრაფმა დრო დახარჯა და ქალაქიდან ჩამოვიდა.

— თქვენ ეზოში გადით, მოემზადეთ, მე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ახლავე მოვალთ. — უთხრა ლენინმა.

ფოტოგრაფი თავისი აპარატით ქუჩისაკენ გაიქცა და აპარატის დადგმას შეუდგა. ბავშვებმა ფოტოგრაფს ძლიერ გაუჭირვეს საქმე. ყოველი მხრიდან მოგროვდნენ და ცდილობდნენ აპარატის წინ ჩამომსხდარიყვნენ.

ლენინი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ქოხიდან გამოვიდა.

ფოტოგრაფმა ისინი შუაში ჩასვა და ირგვლივ გლეხების დასხმას შეუდგა. მაგრამ აქაც ჩაერივნენ ბავშვები, ყველას ფეხებში ედებოდნენ, ლენინისაკენ მიიწევდნენ.

ფოტოგრაფი გაჯავრდა: ყველანი ჩუმად უნდა ისხდეთ, თორემ სურათი გაფუჭდებაო.

ვლადიმერ ილიას ძემაც დაუწყო ბავშვებს დარიგება, აპარატზე მიუთითა და უთხრა:

— აგერ, იმ შავ ხვრელს უყურეთ!

ბავშვებმა აპარატის ხვრელს დაუწყეს ცქერა. ფოტოგრაფმა თავზე შავი, გრძელი ნაჭერი წამოიხურა და გაირინდა.

— თქვენ აქ ბავშვები არ გამიყინოთ! — უთხრა ლენინმა ფოტოგრაფს.

ირგვლივ სიცილი ატყდა:

— არაუშავს, ჯანმრთელები გვყვანან, აიტანენ!

საუბარი მათ რომ შეეხო, ბავშვები კვლავ ამოძრავდნენ. ახლა კი ველარ მოითმინა ფოტოგრაფმა და დაიყვირა:

— სმენა!

ლენინს გაეღიმა და ასევე გაღიმებული გამოვიდა სურათში.

III

მოედანზე მიტინგი გაიხსნა.

მოედნის შუაში მაღალი ბოძი იყო აღმართული, ზედ ახალი ელექტროფარანი ეკიდა, იგი ჯერ არც ერთხელ არ აენთოთ.

ბოძს წითელი ლენტები და ნაძვის მწვანე ტოტები ჰქონდა შემოხვეული. ფარნის ქვეშ პატარა მაგიდა იდგა.

აქ, კაშინოელებს გარდა, სხვა სოფლიდან მოსულ გლეხებსაც მოეყარათ თავი. ბევრიც შორიდან მოსულიყო.

ლენინი მაგიდასთან მივიდა და სიტყვა დაიწყო:

— თქვენი სოფელი კაშინო ახლა ელექტროსადგურს აამუშავებს. შესანიშნავი საქმეა! მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, ჩვენი ამოცანა კი იმაშია, რომ მთელ ჩვენს რესპუბლიკას მოეფინოს ელექტრონის შუქი.

როცა ლენინმა სიტყვა დაამთავრა, სიმებიანმა ორკესტრმა „ინტერნაციონალი“ დაუკრა. იმ წუთშივე, ფარდულში, სადაც დინამომანქანა იდგა, მონტიორმა დენი ჩართო.

მოედანზე ელექტროფარანი აინთო, ქოხებში კი უეცრად შუქი აციმციმდა.

კაშინოელ გლეხებს წინათ პატარა ჭრაქები ენთოთ, რომლებიც მომწვანო ფერად ძლივს ბჟუტავდნენ.

— ახლა კი ჩვენთანაც აენთნენ ილიჩის ნათურები, — თქვა ვილაცამ, როდესაც ელექტრონის კაშკაშა სინათლეს შეავლო თვალი.

ლენინი ყველას დაემშვიდობა და მანქანისაკენ გასწია. უკვე ძლიერ ბნელოდა, ნოემბრის ცივი ქარი სცემდა სახეში.

როცა სოფელს საკმაოდ გასცდნენ, ვლადიმერ ილიას ძემ მიიხედა. ჩაბნელებულ ველებს შორის მკაფიოდ ჩანდა კაშინოელთა ქოხების განათებული ფანჯრები.

თარგმნა ეთ. კ-ძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიმაშვილი

ნახატი თ. ასიტაშვილისა

სურათი

ახლოვდება გაზაფხული,
ზამთარს წასვლა ეძნელება,
სხივდაკრული სიხარული
გაიშალა ენძელებად.

დღემ საგრძნობლად მოიმატა,
ალარ მოჩანს ქედი თეთრად,—
თოვლის ჩიხა გაუხდია
გაზაფხულის შესახვედრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ნახატი რ.ცუცქირიძისა

მოხერხებული გია

ერთ კოლმეურნეობაში ცხოვრობდა ათი წლის ბიჭუნა. მას სახელად გია ერქვა. გია კოლმეურნეობაში აღიზარდა მშობლებთან. ბავშვმა ყველაფერი თავისით ისწავლა. შეეძლო ვერხვისა და კაკლის წვერებზე აცოცება. არაფრის ეშინოდა, არც წყლის, არც ცეცხლის, არც სიბნელის. მესაქონლეობის ფერმაშიც შინაურად იყო. კამეჩებს, ხარებს, რქენია ძროხებს ყურში ხელს მოავლებდა, შეიყვანდა ბოსელში და რკალით მიაბამდა ბაგასთან. კოხტა და ლაზათიანიც იყო გია. ხალათ-შარვალი, ქამარი და ფეხსაცმელები ყოველთვის სუფთად და ლამაზად ადგა ტანზე. გაცვეთილის დაკერებაც ეხერხებოდა.

ასეთი სიმარჯვისათვის გია ყველას უყვარდა: ცეცხლი ბიჭია, ივარგებს, ნეტავ ასეთი შვილი ყველას ჰყავდესო, — ამბობდნენ კოლმეურნეები.

ერთხელ კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში ასეთი შემთხვევა მოხდა: ზამთრის პირი იყო. მოხუცმა მომვლელმა დაბმულ საქონელს დილით საკვები დაუყარა. ბაგებიდან ამოღებული ჩალის ნარჩენი გოდრით ბუხართან მიიტანა. შეცივნულმა მოხუცმა ბუხარში ბევრი ჩალაბული შეჰყარა. დიდი ცეცხლი დაინთო. გუგუნით ავარდა ალი ბუხრის მილში. ერთ წამში მთელი სოფელი ჩალის კვამლსა და მჭვარტლის სუნში გაეხვია. ბუხარში ხანძარი გაჩნდა. ბოსლის სახურავი შემოდგომის ფიცხი ქარისაგან გამომხმარი ლელისა იყო. ქარიც ძლიერად ჰქროდა. ბუხრის მილიდან შხუილით ამოდიოდა ალში არეული ნაკვერჩხლად ქცეული ჭვარტლის გუნდები.

კოლმეურნეები დატრიალდნენ. მოარბენინეს სილა, სველი ნაბდები და წყლით სავსე ჭურჭლები. მაგრამ გაჩაღებული ხანძრის ჩასაქრობად მაღლა ასვლა ვერავის მოეხერხებინა, რადგან კიბე ახლოს არსად აღმოჩნდა.

ამ დროს საიდანღაც გია მოვარდა.

— მიადგით ბოსელს გრძელი ხე! — დაიძახა ბავშვმა.

ორმა კოლმეურნემ იქვე დაგდებულ ხეს ხელი სტაცა, მიაყუდა ბოსლის სახურავს. ამასობაში გიამ ვიღაცის ძირს დაგდებულ პალტოს ხელი დააავლო, წყალში დაალბო, ბეჭზე მოიგდო და მიეუდებულ ხეს ციყვივით შეაცოცდა. გაბედულად მიაღწია ცეცხლისმფრქეველ

ბუხრის მილამდე. იქ სველი პალტო დაკუმშა და ბუხრის მილში ჩატენა.

ალი უეცრად მოიგუდა. ამ დროს კიბეც მოიტანეს, უფროსებიც ავიდნენ ზევით და ფერმის ბოსელი და საქონელი დაწვას გადარჩა. პატარა ხნის შემდეგ კოლმეურნეებმა ბუხრის კერიდან ამოიღეს დაბამბული პალტოს დამწვარი და ნაცრიანი ნაფლეთები. პატრონიც იქვე იდგა და პალტოს დაწვას სულ არ ნაღვლობდა, რა კი ღა ამოდენა ქონება გადარჩა განადგურებას.

— ამ პალტოთი გადაგვირჩინა გიამ ოთხმოცი სული ძროხა და ხარ-კამეჩი. უყიდეთ მის პატრონს სამაგიერო! — უთხრეს კოლმეურნეებმა თავმჯდომარეს.

— დღესვე შეუძენთ უკეთეს პალტოს. დაჰპირდა მათ თავმჯდომარე და გიას ჰკითხა: — შენ კი, რით დაგასაჩუქრო შენი სიმარჯვისა და მოხერხებულობისათვის?

— მაგისათვის მე რა საჩუქარი მერგება! განა მეც და ჩემი დედ-მამაც კოლმეურნეები არა ვართ?! — გაიკვირვა გიამ, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სხვა აზრისა იყო. დაზარალებულს თავისი გადაუხადა. გიას კი საჩუქრად ერთი ხელი ტანსაცმელი გაუგზავნა და თანაც შეუთვალა:

მაგ სიმარჯვესთან ერთად კიდევ უკეთ ისწავლეო!

ილია სიხარულიძე

ნახატი რ. ცუცქირიძისა

ლაშა ბიჭი

ფეხის ადგმა უნდა დაშას,
დაშას უნდა ფეხის ადგმა.
ჯერ კი ისე დაბაჯბაჯებს,
რომ აჯობოს იქნებ ბატმაც.

მაგრამ ვფიქრობ, რომ არ არის
დასაძრახი დაშა ბიჭი;
ხუმრობაა? — გუშინ და დღეს
მან გადადგა რვა ნაბიჯი.

მაღე სირბილს მოახერხებს
და ვერავინ დაეწევა;
ჯერ კი, რა ქნას, პატარაა,
აკვანში წევს, უნდა რწევა.

და როდესაც გაილვიძებს,
იგი ბაჯბაჯს ისევ იწყებს,
ნაბიჯს დგამს და დედიკოსკენ
წინ გაწვდილი ხელით იწევს.

გაიზრდება დაშა მაღე,
ვერ აჯობებს მისი კბილა,
აბა, ნახეთ მაშინ მისი
კუნტრუშა და ასკინკილა!

ფეხის ადგმა უნდა დაშას,
ფეხის ადგმას ცდილობს ბიჭი:
ხუმრობაა? — გუშინ და დღეს
მან გადადგა რვა ნაბიჯი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

დააცადეთ, გაიზარდოს

ნახატი ვლ. ტოროტაძისა

დარბის დახტის გურამიკო—
ეს პატარა დათვის ბელი.
კარადებშიც უნახავად
არ დატოვა კუთხე ბნელი.

დასდევს დედას, დასდევს და-ძმებს,
დაახია კალთა ბების.
მერცხალივით მოჭიკჭიკემ
გამოისხას ღამის ფრთები.

სუფრას კოხტად რომ გაშლიან,
სუფრის თავში ჯდება თვითონ
წიგნებსაც კი ეტანება
და კითხულობს ბიჭი ვითომ:

— თხა და გიგო...
აგერ ფისო...
რას მიცქერი, ფისო ბრიყვო?!
გიგო არ ვარ;
ის დიდია...
მე არ მინდა გიგო ვიყო.—

აი, დღესაც გურამიკომ
გადაფურცლა წიგნი... მაგრამ
ნახატები ამოხია
და კედელზე მიამაგრა.

თითქოს აკლდათ მხატვრის ხელი,
დაუმსხვილა თვალი ძერას,
კაცი ზოგი გააშავა,
ზოგს ყურები დაუგრძელა.

იქნებ შერცხვა!—მოტრიალდა
გასაქცევად როგორც ჯარა...
ვერ ქნა კარგი, ამ სიცელქით
დედა ძლიერ გააჯავრა.

მაგრამ გურამს საყვარელი
დედის წყენა სურდა განა?!
პატარაა, ჯერ არ იცის
მან ცხოვრების ანა-ბანა.

დააცადეთ, გაიზარდოს
და ბიჭუნა ნახეთ მაშინ,
ნახეთ წიგნებს, ან რვეულებს
სიყვარულით როგორ გაშლის!

ყველას გულის გასახარად
წამოდგება ადრე დილით,
იბეჯითებს და სკოლაში
ფრთაშესხმული ფრენით ივლის.

ჯ. გოგიაშვილი

ორი ამხანაგი

— მოიცა, ძია, მოიცა! — ყვიროდა მალხაზი, მაგრამ საბარგო მანქანა სწრაფად მიქროდა.

— რა ვქნათ ახლა? — ჰკითხა კოტემ.

მალხაზი ჩაფიქრდა, უცბად რაღაც მოიფიქრა, ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და მანქანის ნომერი ჩაიწერა.

ირგვლივ არავინ ჩანდა.

მანქანიდან გადმოვარდნილ ყუთს მალხაზმა ხელი მოჰხვია და მოსახვევში, მყუდრო ადგილას შეჩერდნენ.

— წამოდი, მილიციელს ჩავაბაროთ! — თქვა მალხაზმა.

მოიცა, რას ამბობ, ჯერ ვნახოთ რა არის შიგ! — მოუთმენლად წამოიძახა კოტემ და ყუთისაკენ დაიხარა.

— არ გახსნა, კოტე, არ შეიძლება...

— ვითომ რატომ არ შეიძლება, შენი ხომ არ არის, ერთად არ ვნახეთ? — ხმას აუწია კოტემ და ყუთის გახსნას შეუდგა.

— კოტე, ნუ ხსნი მეთქი, — კვლავ შეაჩერა მალხაზმა.

— რა ძალიან ეპატრონები ამ ყუთს, შენ ვინ გკითხავს! — ამაყად წამოიძახა კოტემ და მალხაზს ხელი ჰკრა.

კოტე უფროსი იყო. მალხაზმა იცოდა, რომ კოტე მას მოერეოდა და ამხანაგს დაყვავებით მიმართა:

— კარგი, ბიჭო, რა იყო, მოდი, ჰო, ვნახოთ!

— ჰოდა, ეგრე! — თქვა კოტემ, ჯიბის დანა ფრთხილად გახსნა და ყუთს დაუსვა. ყუთის გახსნაში მალხაზიც ეხმარებოდა.

— ბიჭოს, რა კარგი საკოსტუმე ქსოვილია! მამას როგორ გავახარებ, მამაშენსაც ეყოფა და ჩვენც. — წამოიძახა კოტემ და ყუთის დახურვას შეუდგა.

— რა თქვი, კოტე? — გაიკვირვა მალხაზმა.

— რაც გაიგონე... რა, ხომ არ მოგვიპარავს, ვიპოვნეთ. რას მიყურებ, ტყუილს ვამბობ?!

— იცი, რა გითხრა, კოტე! — დინჯად დაიწყო მალხაზმა, — იმ კაცმა რაღა დააშავა, ვინც ეს ქსოვილი დაკარგა, ცოდვა არ არის?

— მერე რა, ჩემი ბრალია? — წამოიძახა კოტემ.

— არა გრცხვენია, კოტე, როგორი პიონერი ხარ!

— რა შუაშია პიონერი, ხომ ვიპოვნეთ და... ნახევარი შენ, ნახევარი მე, აქ საჩხუბარი რა არის!—დაბეჯითებით იძახდა კოტე.

— ეს ქსოვილი პატრონს უნდა ჩავაბაროთ.—თქვა მალხაზმა.

— როგორ! სად უნდა ვეძებოთ პატრონი? შენ, ძმაო, მოხმარების შნო არა გქონია, ხელი გაუშვი,—შეუტია კოტემ მეგობარს.

— კოტე, რაც უნდა მოხდეს, იცოდე, ამ ყუთს არ გაგატან, ახლავე მილიციელთან წავიდეთ და ჩავაბაროთ.

— რას ამბობ, რას? შენი წილი ვისაც გინდა ჩააბარე, მე კი ჩემსას არ დაგითმობ!—თქვა კოტემ და ყუთს ისე მაგრად ჩაავლო ხელი, რომ ძნელი იყო მისი გამორთმევა.

— გაუშვი ხელი,—უთხრა მალხაზმა.

— არ გავუშვებ.

— გაუშვი მეთქი.

— არ გავუშვებ, — ჯიუტობდა კოტე და ყუთს მთლიანად გადაეფარა ზევიდან.

მალხაზმა გადაწყვიტა: რაც მოხდება, მოხდესო და კოტეს ჩააფრინდა.

— გაუშვი მეთქი,—ყვიროდა მალხაზი და ყუთს თავისკენ ეწეოდა.

— არ მოგცემ! – წამოიძახა კოტემ და მეგობარს წელში ეცა.

დიდხანს კოტრიალობდნენ მიწაზე სკოლის ამხანაგები, ხან ერთი იყო ძირს ხან მეორე.

უეცრად მათ წინ მანქანა დადგა.

— რა ამბავია!—წამოიძახა მანქანიდან გადმოსულმა კაცმა და მოჩხუბრები გააშველა.

— ძია,—წამოიძახა მალხაზმა და უცნობს მივარდა.

— რა გაჩხუბებთ, რა მოხდა?

— ძია, – სულს ძლივს ითქვამდა მალხაზი,—მე და კოტე ჭერბარიუმისათვის პეპლების დასაჭერად ქალაქგარეთ წამოვედით. ქუჩაში მანქანიდან, აი, ეს ყუთი გადმოვარდა. მანქანაზე მჯდომ კაცს ვუძახეთ და ვერ გავაგონეთ. მე და კოტემ ეს ყუთი გავხსენით და შიგ ქსოვილია. კოტე იძახის გავიყოთო, მე ვეუბნები: პატრონს ჩავაბაროთ-მეთქი. არ მეფიქრ-ება, მეჩხუბება...

— შენ ამბობ, რომ პატრონს ჩავაბაროთო?—იკითხა უცნობმა.

— ჰო, ძია!

— მერე, როგორ უნდა ჩააბარო?

— მანქანის ნომერი ჩაწერილი მაქვს, სწრაფად მიუგო მალხაზმა.

— ჰოო?! კარგია... ჩაჯექით, წავიდეთ,—თქვა უცნობმა, ყუთი მანქანაში შეიტანა და შორს მდგომ კოტეს მიუბრუნდა:

— შენც წამოდი, კოტე!

კოტემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. შორი მანძილი რომ გაირბინა, შედგა, უკან მოიხედა და შინისაკენ გზა განაგრძო.

მანქანა ავტოინსპექციის წინ დადგა. უცნობმა ყუთი გადმოიღო, მალხაზს უთხრა მომყევიო და კიბეებზე ავიდნენ.

უცნობმა კაბინეტში მაგიდასთან მჯდომ კაცს ყველაფერი აუხსნა.

მაგიდასთან მჯდომმა ტელეფონის მილი აიღო და სადღაც დარეკა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაბინეტში უცნობი კაცი შემოვიდა; ოთახში მყოფთ მიესალმა და ყუთის დანახვაზე წამოიძახა:

— კი, ჩემია, რამდენი ვეძებე ეს ყუთი!—თქვა მან და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

კიბეებზე ჩასვლისას უცნობმა ყველაფერი აუხსნა ახალმოსულს.

ყუთის პატრონმა მალხაზს ღიმილით გადახედა, შემდეგ კოსტუმის ჯიბიდან მუდმივი კალმისტარი ამოიღო, მალხაზს მიაწოდა და უთხრა:

— გმადლობთ, ბიჭიკო, ეს მცირე საჩუქარი მიიღე ჩემგან, შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ!—მერე ქუჩაში მდგომ საბარგო მანქანაზე დასდო ყუთი და მალხაზს მადლობა გადაუხადა.

მალხაზმა მიმავალი მანქანის ნომერს თვალი გააყოლა და იქვე მდგომ ძიას სიხარულით შეხედა.

ნახატი ალ. ბანძელაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

პაწაწინა ლექსები

გურამიკო არმიელი

ერთი, ორი, ერთი, ორი,
გამოვსუდვარ, ბიჭო ვასო,
თოფიცა მაქვს, ცხენიცა მყავს,
მსურს არმიელს დავემსგავსო.

საითა ხარ, ოთარიკო,
აბა, ჰერი, აბა, ჰერი,
ორივ თვალი გქონდეს ფხიზლად,
არ გამოჩნდეს სადმე მტერი.

აბა, ჰერი, აბა, ჰერი,
გამომყევი, ბიჭო ვასო,
თოფიცა გვაქვს, ცხენიცა გვყავს,
არმიელებს დავემსგავსოთ.

თინათინი

კამათია ყოველ დღეით,—
გათენდება თუ არა,
პაწაწინა თინათინი
საყვედურობს გულნარას:

თუ გსურს ჩემთან მეგობრობა,
დაიხსომე, იცოდე,
თინიკოს ნუ დამიძახებ,
თინათინი მიწოდე.

ზურას დღიური

რომ იცოდეთ ჩვენი ზურა
დღიურს როგორ უვლის,
მისი ნახვა, პატარებო,
გვიხარია გულით.

გადაფურცლავ, ხუთიანებს
დაინახავ ჯარად,
ადგილი რომ აღარ ჰყოფნით,
ერთად ჩამომსხდარან.

შემდეგ ფურცელს თუ გადაშლით,
უფრო გატკბობთ ცქერა,
პატარებო, თვითონ ნახეთ,
ჩემი თუ არ გჯერათ.

ნახატები **გ. როინიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშარ ჩხაიძე

ნახატები ი. გაბაშვილისა

ტყის დღეობა

— დილა მშვიდობისა, შრრ, შრრ! — გაიშრიალა წელში მოხრილმა ხანდაზმულმა ფიჭვმა და ნორჩი ტყე გააღვიძა.

— დილა მშვიდობისა, დიდედა ფიჭვო! — უპასუხეს პატარა ხეებმა, თავები დაბლა დაუკრეს და მწვანე კალთები შეარხიეს: — შრრ, შრრ!

დიდედა ფიჭვმა ნორჩ ტყეს დაბადების დღე მიულოცა და ტკბილად დაბერება უსურვა.

— სიტკბოება არ მოგაკლდეს, დიდედავ! — შესძახეს ერთხმად ნორჩმა ხეებმა და სოფლიდან მოვარდნილ რადიოს ხმას რხევით აჰყვნენ.

— ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! — გაისმოდა ტყეში და ხეები ირხეოდნენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ.

მაგრამ როცა რადიომ ბრძანა: — ნაბიჯით იართ! — ხეებმა თავები აქეთ-იქით გაიქნიეს: შრრ, შრრ, სიარული არ შეგვიძლიაო! — და ფეხადგმულ ტყის ცხოველებს დაუწყეს ცქერა. მწყობრად მიაბიჯებდნენ მელა, მაჩვი, ზღარბი, ტურა, ციყვი, კვერნა, თხუნელა, მხოლოდ პაწია დათუნიას ფეხი ფეხზე გადაედო, თათებს ფიჭვის ფესვზე გულმოდგინედ უბრაგუნებდა და გაიძახოდა:

— ცუმპა-ცუმპა, ბუმ! ცუმპა-ცუმპა, ბუმ!

— ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! ახლა კი სველი ტილოთი დაიზილეთ ტანი. — უკანასკნელად თქვა რადიომ.

ხეები აშრიალდნენ მხიარულად: — რა ხანია, ტანი ნამით დავიბანეთო. ტყის ცხოველები კი ჩოჩქოლით ივრისაკენ გაეშურნენ.

მხოლოდ დათუნია დარჩა ადგილზე. მსუქანი თათები ვარდისფერი ენით აილოკა და ტანმოვარჯიშეთა დაბრუნებამდე წაძინება განიზრახა, მაგრამ კოდალამ არ დააცალა.

— ტაკ, ტუკ, ტაკ, ტუკ! — უკაკუნებდა ნისკარტს დიდედა ფიჭვის დაკოჟრილ ქერქს, დიდედა კი კოდალას ქებას ასხამდა: — რა ოსტატურად მაცლი მავნებლებს, შენს ხელში ავად რა გამხდის, გმადლობთ, გმადლობთ, მკურნალო კოდალავ, შრრ, შრრ, შრრ!

ხელპირდაბანილი და საჩუქრებით ხელდამშვენებული ტანმოვარჯიშეები ივრის ნაპირიდან ტყეში დაბრუნდნენ.

ოჰ, რამდენი ყვავილები დაეკრიფათ, რა ფერად-ფერადი თაიგულები შეეკრათ და მოეტანათ.

— იზარდე, დავაჟკაცდი, იშრიალე მარად, ლაღად! — უსურვეს ნორჩ ტყეს და ერთი წლის შესრულება მიულოცეს.

ციყვმა კი დიდედა ფიჭვს კენწერო ყაყაჩოების თაიგულებით დაუმშვენა და მკერდი დაუკოცნა.

— მარტო ვიყავ ოხერტიალი ამ სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ტრიალ ველზე. შემიბრალა მადლით სავსე ხალხმა და ეს ტყე დარგო, — წამოიწყო დიდედა ფიქვმა და აცრემლება დააპირა, მაგრამ დათუნიამ მსუქანი თათები წელზე მოჰხვია და ასძახა: აბა, აბა, გუნებას ნუ გამიფუჭებო, — და დიდედა გააცინა.

ვნახოთ, ბოლოკ-სტაფილოს თაიგულებით დამძიმებულნი და ხელიხელ გაყრილი მეუღლე კურდღლებიც შემობრძანდნენ ტყეში.

— ოჰ, ოჰ! — ოხრავდა დედა კურდღელი და გულში თათს იცემდა.

— რატომ ტირი, დაო? — ჰკითხა თხუნელამ.

— რაღა მეშველება, სწორედ იმ დღეს, როცა ეს ტყე დარგეს, შვილი დავკარგე... ყურწიგნა ერქვა სახელად, ხომ არავის გინახავთ?

— არა, არა! მოვა, მოვა, ნუ იდარდებ!.. — დაამშვიდეს ცხოველებმა დედა კურდღელი.



— მობრძანდით, მობრძანდით, — მიმპატიჟა ციყვმა; დიდედა ფიქვის გაშიშვლებული ფესვი ბუმბულა კუდით გადაწმინდა და სტუმრები ზედ დააბრძანა.

— აბა, განი, განი! — დაიბურდღუნა დათუნიამ და კვერნა თამამ მობით გაიწვია.

ამ დროს სერზე ერთმა ნაცარა კურდღელმა ჩამოირბინა. ახტა დახტა და მოხდენილი სკუპით წრის შუაგულში ჩახტა.

— ყურწიგნავ, შვილო, ყურწიგნავ! — შესძახა დედა კურდღელმა და მხურვალედ გადაჰკოცნა.

— სად იყავ ამდენ ხანს? — მკაცრად შეეკითხა მამა კურდღელი ყურწიგნას და ყური აუწია.

— სკოლაში ვსწავლობდი, — უპასუხა ყურწიგნამ და ყურები წიგნებივით ჩამოჰკეცა.

— სკოლაში?! — გაიოცა ყველამ.

— დიახ, სკოლაში, — გაიმეორა ყურწიგნამ.

— ძნელია სწავლა? — შეეკითხა მაჩვი.

— ადვილი სტაფილოს ჭამაც კი არაა!

—სკოლაში, თეფშით მივირთმევთ სტაფილოს, — თქვა ყურწიგნამ და მიწაზე დალაგებულ ბოსტნეულს წუნით დახედა.

— დახეთ, დახეთ! — გაიოცა მელიამ და დოინჯი შემოიყარა.

— განა მარტო მე, ნათელ და სუფთა ოთახში ჩემთან ერთად ზღარბი და ჩხიკვი ცხოვრობენ. ყველა კლასებში დავყავართ, სადაც ბუნების გაკვეთილია.

— შენკი გენაცვალოს დედა, ჭკუა ყურებში გეტყობოდა! — შესძახა დედა კურდღელმა და ყურები დაუკოცნა, მამა კურდღელმა კი ულვაშები უფრო მაღლა აიგრიხა.

აღტაცებული სტუმრები ბედნიერ მშობლებს შეჰხაროდნენ. მალე ისეთი ლხინი გამართეს, რომ მათი ჟრიამული ახალდასახლებულ სოფლებს სწვდებოდა.

აბო უერაძე. მურზა რაჭიანი

შეხვედრა დათუთან



ნახატი გ. ფოცხიშვილისა

მთებს ღამის ბინდი შეეპარათ, ნაცრისფერი ნისლი ჩამოწვა ხევში. საძოვრებზე გაფანტულ კოლმეურნეობის საქონელს თავი მოუყარეს მწყემსებმა. კარავში მუხის შეშის ნაკვერცხლები ღვივოდა. ჩემს გვერდით იჯდა მწყემსის შვილი, პიონერი რეზო. უფროსები ჩქარობდნენ, ზოგი წმენდდა თოფს, ზოგი კი საგულდაგულოდ ტენიდა.

— მთელ ნახირს აიკლებს წყეული ნადირი, თუ რამე არ ვიღონეთ! — ლაპარაკობდა დათვზე გაჯავრებული მოხუცი მწყემსი.

54/13

— ზარალი ხომ ზარალი იქნება და სირცხვილს რაღა ვუყოთ, ამდენ ხანს მაგ საძაგელს ბოლო ვერ მოვუღეთ! — დაუმატა შუახნის კაცმა, რომელსაც გრიგოლს ეძახდნენ. ეს იყო რეზოს მამა. მე და რეზო გულადი ვაჟკაცებივით ვიზიარებდით უფროსების საუბარს. — დროა ბავშვებო, დაიძინოთ, — გვითხრეს უფროსებმა. ჩვენც ძილი გვერეოდა და იქვე დათვის ტყავზე წამოვწექით. რეზოს ვუყვებოდი, თუ როგორ შემაშინა მაჩვმა გზაზე. რეზოც ხარხარებდა. ის უკვე იცნობდა ამ მთას, ტყეს და მის ცხოველთა სამეფოს, გამოცდილი კაცივით უშიშარი და გაბედული იყო.

გათენდა. ხევში ნისლი გაიფანტა. კოლმეურნეთა საქონელი გაიშალა საძოვრებზე. მე და რეზო წავედით მდინარის სათავეზე; მაღალი კლდის გამოქვაბულიდან მოსჩქეფდა წყალი. ნელნელა გავყევით ბილიკებს, ძირს დავეშვით. მაღლა რომ ავიხედეთ, კლდის ციცაბო ნაპირზე ორი თხა შევნიშნეთ.

— რეზო! — გაკვირვებით შევძახე ამხანაგს, — აქ თხებიც ჰყავთ?

მან თავი მაღლა ასწია, და სიცილი ველარ შეიკავა:

— არა, ისინი თხები კი არა, ჯიხვებია. — მითხრა მან.

უკან დავბრუნდით, ჩუმად შემოვუარეთ კლდეს, ჯიხვებს ქვა ვესროლეთ და დავაფრთხეთ. ისინი კლდიდან თავქვე ელვის სისწრაფით დაეშვნენ. ჩვენ გზა განვაგრძეთ. მალე ხმაური მოგვესმა. თითქოს ფოთლები შრიალებდა, მაგრამ ტაცუნიც ემატებოდა.

— ხომ გითხარი, ჯიხვები აქეთ წამოვიდნენ, ისინი ხმაურობენ, — მამხნევებდა რეზო, მაგრამ ჩვენს თვალწინ ჯიხვები კი არა, დათვის პატარა ბელები გამოჩნდნენ. აბა, მაშინ უნდა გენახათ ჩვენი ხირ-

ბილი უკან, კარავისაკენ, რომ ეს ამბავი უფროსებისათვის შეგვეტყობინებინა.

კარავს რომ მივუახლოვდით მოხუც თედორეს სულმოუთქმელად მივაძახეთ: — დათვის ბელები, ძია თედორე!

ამის გაგონებაზე მწყემსებმა იარაღი აისხეს და სწრაფად გამოგვყვნენ უკან. ჩვენ წინ მივუძღოდით. თედორე დარწმუნებით ამბობდა: — სადაც ბელებია, იქ დათვის ბუნაგია, ხოლო სადაც ბუნაგია. იქ ბრძანდება ალბათ ჩვენი ღამის ავი სტუმარი. დათვი ახლა ბელებს არ მიატოვებს, მხოლოდ ამ დროს საშიშია ნადირი, არ დაგვზოგავს და სიფრთხილე გვმართებს!

ნაცნობ ადგილს რომ მივუახლოვდით, ჩვენ ნაძვის ხეზე ავცოცდით უფროსების გაფრთხილებით, ისინი კი წინ მიიწევდნენ. თედორე კარგად ზვერავდა ადგილს და მალე მიაგნეს ბუნაგს; ბელები კვლავ ერთობოდნენ, დედა დათვმა, რომელიც ბუნაგში იწვა, ადამიანის მიახლოება იგრძნო, წამოვარდა და ბელებისაკენ გაიქცა.

თედორესა და გრიგოლის თოფებმა ერთად დაიჭექეს, სასიკვდილოდ დაჭრილმა მხეცმა შეუტია მწყემსებს. გრიგოლის მეორედ ნასროლმა ტყვიამ კი იგი წააბარბაცა. მწყემსებიც მომარჯვებული თოფებით წინ წავიდნენ, მაგრამ ნადირი უკვე გულგანგმირული ეგდო. ჩვენ ხიდან ჩამოვხტით. ვნახეთ, დათვის ბუნაგში საქონლის ძვლები ეყარა. დათვის ორი ბელი იქვე დავიჭირეთ. ისინი ტუჩებს ილოკავდნენ. მოხუცმა თედორემ გამოაცხადა: ბელები პატარა მონადირეებს ეკუთვნითო.

როცა თბილისში ჩამოვედით, ჩვენი ბელები ზოოპარკს ჩავაბარეთ.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ფართო ქუჩაზე

ბიჭო, ჩემი თვალით
გნახე ამას წინათ,—
ახალ ავტობუსში
იჯექ არხეინად.

უცქეროდი სახლებს,
ხეებს, ფართო ქუჩას.
ველარ ნახე სახლი,
სადაც ცხოვრობს უჩა.

ის ხომ დაანგრიეს,
ქუჩა გახდა ფართო.
უჩას ბინა მისცეს,—
განა უჩას მარტო?
სხვებიც გადაიყვანეს,
ზურა, თინა, ნატო.

ნახატი **გ. ფოცხიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების კარი

ბულბული

დაღამდა. სოფელი მიყუჩდა. სულ ახლოს ბულბულის მომაჯადოებელი სტვენა გაისმა.

— მამა, მამა, ბულბულის ხმა გესმის? ორლობის იქითა ვენახშია, გვიამბე ბულბულის შესახებ. — უთხრა მამას ნანამ.

— ჰო, გვიამბე. —შეეხვეწა ლეოც.

— ბულბული ბელურა ჩიტს წააგავს, მხოლოდ იმაზე მოზრდილია, — დაიწყო მამამ. — ფრინველებში ბულბულისთანა მგალობელი სხვა არ მოიძებნება, მისი სიმღერა განთქმულია მთელს ქვეყანაზე. ბულბულს უყვარს წყნარი, უხმაურო ადგილები მწვანით, ბაღ-ვენახებით და ტყით შემკული. სწორედ ამიტომ ეტანებიან ბულბულები ბუნებით ლამაზსა და მშვენიერ საინგილოს, რომელიც თვალის ერთი გადავლებით მთლიან ბაღ-ვენახს მოგვაგონებს.

ბულბული ბუდეს იკეთებს ხის დაბალ ტოტებზე, ან ძირს, ბუჩქებში, სადაც ბლომად მოიძებნება გამხმარი ფოთოლი და ბალახი. სდებს ოთხ-ექვს პატარა თხელნაჭუჭა კვერცხს. ორი კვირის შემდეგ გამოჩეკს ბარტყებს. მშობლები ბარტყებს კარგად უვლიან, საჭმელ-სასმელს აო აკლებენ და თან გალობაში ავაოჯიშებენ. მათ საჭმელს ჭია-ლუა შეადგენს, შემოდგომით კი ხეხილის წვრილი ნაყოფით იკვებებიან. როცა ბარტყები კარგად მოიჩიტებიან, აქეთ-იქით გაიფანტებიან, შემოდგომაზე კვლავ შეგროვდებიან და ერთად გაფრინდებიან თბილ ქვეყნებში. გაზაფხულზე კი ისევ გვეწვევიან, მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება ძლიერ უხარიათ და თავდავიწყებით გალობენ ხოლმე. მოშინაურებაც ადვილად იცის ბულბულმა. — დაასრულა მამამ.

— ჩვენც დავიჭერთ და მოვიყვანთ სახლში, აქ იცალობს, — წამოიძახა კუდრაჭა ნანამ.

— არა, შვილო, მათი დაჭერა არც ისე ადვილია და ცოდვაც არის ფრინველის დატყვევება, — მიუგო მამამ.

ნანამ და ლეომ მეორე დღესვე გადაწყვიტეს მამის დაუკითხავად მოეძებნათ ბულბულის ბუდე და ბაღების ყველა კუთხე დაათვალიერეს; ერთ ადგილზე, მაყვლის ბუჩქში, ლეომ რაღაც თეთრს მოჰკრა თვალი და მაშინვე იქით გაექანა.

— ნანა, ნანა, — ნელი ხმით გასძახა ლეომ და თან ხელი დაუქნია დას.

ბუჩქის ძირში, მოფარებულ ადგილას, პატარა კოხტა ბუდე დახვდათ, რომელშიც მიხაკისფერი, ოდნავ მომწვანო ხუთი კვერცხი ელაგა. ნანამ და ლეომ ადგილი კარგად დაიხსომეს და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას. ამის შემდეგ ყოველდღე ინახულებდნენ ხოლმე ბუდეს. ორი კვირა გავიდა. ბუდეში პატარა ბარტყები გაჩნდნენ. მალე ბარტყები დაფრთიანდნენ. ბავშვებმა დრო იხელთეს, მიეპარნენ, ორი ბარტყი წამოიყვანეს და გალიაში მოათავსეს. ბარტყების მშობლებს არ გამოეპარათ ბავშვების ოინები. მიაგნეს წაყვანილ ბარტყების გზაკვალს და როცა აივანზე არავინ იყო ხოლმე, შეხტებოდნენ შვილებთან გალიაზე, შესჭიკჭიკებდნენ და თან საჭმელს უზიდავდნენ.

ერთხელ, ნანამ საჭმელი შეუდგა თავის ტყვეებს გალიაში და საჩქაროდ გაბრუნდა, რადგანაც მამა ეძახდა, გალიის კარები კი ღია დარჩა. ამით ისარგებლეს ტყვეებმა, სწრაფად გამოფრინდნენ გალიიდან და ერთ წუთში მშობლებთან გაჩნდნენ.

ნანა მივარდა, გალიაში ბარტყები რომ ველარ ნახა, ძლიერ ეწყინა, მაგრამ გადახედა თუ არა საითაც ბულბულები ეგულებოდა, გაუკვირდა! ტყვეებს დედმამა და დარჩენილი და-ძმები შემოჰხვეოდნენ და ისეთი მხიარული ჟღურტული და ჟივილ-ხივილი ჰქონდათ, რომ აღტაცებული ნანაც იმათ ბედნიერებას შეჰხაროდა.

ზაქარია ედილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

წავიდეთ, ვნახოთ...

აყვავდა მინდვრად ყაყაჩო,
წითლად ბრიალებს აპრილი!
თბილისის ზღვისკენ გვეძახის
იორი ფაფარაყრილი.
წავიდეთ, ვნახოთ იორი
ის უკვდავების წამალი;
სიცოცხლე დაბრუნებული
ძველი სამგორის ტრამალი.
წავიდეთ, ვნახოთ თბილისის
ზღვისპირი აყვავებული,
წყალზე სხივების თამაში,
ზვირთი ზვირთს დახვავებული.
წავიდეთ, ვნახოთ აპრილი
თბილისის ზღვასთან მოსული;
ბულბულის სტვენა ვისმინოთ
შთაგონებული, მგოსნური.
წავიდეთ, ვნახოთ ველებზე
ლალი ზვირთების ჭენება;
ვნახოთ სამგორის ბალნარი—
ჩვენი სამშობლოს მშვენება.

ყდის პირველი და მეოთხე გვერდის მხატვრობა ეკუთვნის გრ. ჩირინაშვილს

რედაქტორი რევაზ მარგიანი სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფკოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 4, Апрель 1952 г. Тбилиси, Ленина 14.
საბჭოტგამი. რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 127 სტამპის შეკვ. № 222|703 ტირაჟი 15.000 უე 00688.